



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 16

28/03/2019

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის" რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ..სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (ს/კოდი 224090524) წესდების დამტკიცება, წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.
2. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. № 62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ (შემდგომში - „სკოლა“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე, მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
3. „ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება“ დამფუძნებელია ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ.

მუხლი 2. საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

1. „სკოლის“ საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტები და წესდება.
2. „სკოლის“ სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის სასპორტო სკოლა“.
3. „სკოლის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2
4. „სკოლას“ გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი: ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.
5. იურიდიული პირი მესამე პირებთან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები და გარიგებები.
6. „სკოლის“ ელექტრონული მისამართია: q.axalcixissporti@mail.ru

მუხლი 3. იურიდიული პირის მიზნები და ფუნქციები

ა(ა)იპ-ის მიზნები და ფუნქციებია:

- ა) ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება სკოლის პროფილის შესაბამისად;
- ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, მასობრივი სპორტის განვითარება;
- გ) სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით, მუნიციპალიტეტისა და ეროვნული ნაკრების კანდიდატებისა და პერსპექტიული სპორტსმენების მზადების ორგანიზება და რეზერვის მომზადება;

დ) სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის), მუნიციპალური და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საწვრთნელი ბაზის შექმნა შესაბამისი სახეობების მიხედვით;

ე) სპორტული ღონისძიებების საკუთარი გრაფიკის შემუშავება და განხორციელება;

ვ) საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების (ფედერაციების) დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის განხორციელება, მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

ზ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა;

თ) სკოლაში დასაქმებულ სპორტსმენთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ი) სკოლის მოსწავლეებთან (სპორტსმენებთან) ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობების განუხრელად დაცვა;

კ) თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სასპორტო სკოლა ახორციელებს სასპორტო საწვრთნელ საქმიანობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აგრეთვე კოორდინაციას უწევს სასპორტო სკოლის ბაზაზე შექმნილ კლუბებს და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სხვადასხვა ჩემპიონატში.

ლ) სხვა ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე ახალციხის მუნიციპალიტეტის ორგანოების/თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 4. იურიდიული პირის მართვა

1. „სკოლას“ ხელმძღვანელობს „დირექტორი“, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

2. „სკოლის“ დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.

3. საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად განხორციელების გამო, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დირექტორის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

4 იურიდიული პირის კონტროლს ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

მუხლი 5. დირექტორის ფუნქციები და უფლებამოსილება

„სკოლის“ დირექტორი:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის საშტატო განრიგს და სტრუქტურას;

- ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;
- გ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „სკოლის“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;
- დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- ე) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს, მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე გაწეული სამუშაოს შესახებ;
- ვ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წერილს და შესაბამისი კლუბის დებულების პროექტს, სკოლაში ახალი სპორტული კლუბის შექმნის შესახებ. მერის თანხმობის მიღების შემდეგ აფუძნებს ახალ სასპორტო კლუბს;
- ზ) პასუხისმგებელია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
- თ) პასუხისმგებელია სარგებლობაში არსებული ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;
- ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს შინაგანაწესს;
- კ) ამტკიცებს სკოლის სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშების მეცადინეობის გრაფიკს, ვალდებულია სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ეფექტურად ჩატარებაზე.
- ლ) განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის მიმართულებებს, შეიმუშავებს წლიური ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მუნიციპალიტეტს დასამტკიცებლად;
- მ) საქართველოს შრომის კოდექსის დადგენილი წესით, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის თანამშრომელთა და საჭიროებისამებრ, დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან, იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ; პედაგოგთათვის (მწვრთნელთათვის) მინიჭებული წოდების გათვალისწინებით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს განაკვეთის დატვირთვას და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას.
- ნ) იმ პედაგოგთათვის (მწვრთნელთათვის) რომლებიც ვერ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს დირექტორი უფლებამოსილია მათ მიმართ გამოიყენოს ამ წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.
- ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- პ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას თანამშრომელთა საქმიანობაზე;
- ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. სამეურნეო საქმიანობა, საკუთრება და შემოსავლები

1. „სკოლა“ ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა, საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგება. სამეურნეო საქმიანობის შედეგები აისახება წლიურ ანგარიშში.
2. „სკოლას“ უფლება აქვს მიიღოს ფულადი სახსრები და გრანტები წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
3. „სკოლის“ დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე მუნიციპალიტეტის წინაშე.
4. „სკოლას“ ქონება გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. „სკოლა“ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას.

6. „სკოლის“ ბალანსიდან უიმედო დავალიანებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისა და დანაკარგების, მოძველებული, გაცვეთილი და კაპიტალური სამუშაოების ხარჯების ჩამოწერა და დავალიანების ამოღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

2. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ა. (ა). ი. პ. -ს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ლიკვიდაციის პროცესს ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. წესდებაში ცვლილების და დამატების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს.

4. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებელი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

ზაზა მელიქიძე